

22.11.11

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით ამცირებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2011 წლის 22 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით 7 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

ოქტომბრის თვეში კიდევ უფრო შემცირდა და 2.3 პროცენტი შეადგინა წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა. ასევე დაბალია – 0,2% დაფიქსირდა საბაზო ინფლაციაც (სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით). ინფლაციის შემცირება მოსალოდნელი იყო თუმცა ბოლო პერიოდში ეს მაჩვენებელი მოსალოდნელზე მეტად მცირდება.

არსებული პროგნოზებით მიმდინარე წლის ბოლოს და მომდევნო წლის პირველ ნახევარში ინფლაცია კვლავ დაბალ დონეზე შენარჩუნდება. მომავალი წლის ზაფხულიდან მოსალოდნელია ინფლაციის ზომიერი ზრდა, მიუხედავად ამისა, არსებული პროგნოზების მიხედვით პოლიტიკის უცვლელობის პრობებში ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ მიზნობრივ დონეზე ნაკლები შენარჩუნდება.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები მშპ-ს საგრძნობ ზრდაზე მიუთითებს. შედეგად მოსალოდნელია, რომ 2011 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6 პროცენტს გადააჭარბოს. ეკონომიკური ზრდის ტემპის მატების მიუხედავად, მთლიანი გამოშვება კვლავ ნაკლებია პოტენციურ დონეზე, და შედეგად ერთობლივი მოთხოვნის აღნიშნული ზრდა ფასებზე ზეწოლას არ წარმოქმნის.

ერთობლივი მოთხოვნის ფორმირებას და შესაბამისად ეკონომიკური აქტივობის მაღალ ტემპს მნიშვნელოვნად განაპირობებდა ბანკების მხრიდან ეკონომიკის დაკრედიტება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდა, რაც ეკონომიკისთვის უფრო ნაკლები რისკების მატარებელია. სესხების ზრდის არსებული ტემპები ინფლაციის რისკებს არ შეიცავს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის მთლიანი გამოშვება პოტენციურ დონეზე ნაკლებია და არსებული პროგნოზები მომდევნო წლისათვის ინფლაციის მიზნობრივ დონეზე ქვემოთ შენარჩუნებაზე მიუთითებენ, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია მონეტარული პოლიტიკის შერბილების გაგრძელება და მიიღო პოლიტიკის განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირების გადაწყვეტილება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2011 წლის 21 დეკემბერს გაიმართება.